პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
კვირა, 6 აგვისტო, 1944 წ. № 159 (7102). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, გადალახეს მდინარე **სტრი** და დღეს, 5 აგვისტოს, იერიშით დაიკავეს ქალაქი **სტრი** — დიდი სარკინიგზო კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი კარპატების მთისძირებში.

ქალაქ **სტრის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გრეჩკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **შევერდინის**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, გენერალ-მაიორ **გორდეევის**, პოლკოვნიკ **ივანჩურის**, პოლკოვნიკ **გერასიმოვის**, პოლკოვნიკ **პახომოვის**, პოლკოვნიკ **იანკოვსკის**, პოლკოვნიკ **გრინჩენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **გრიჩენოკის**, პოლკოვნიკ **გროზგოლის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის**, პოდპოლკოვნიკ **სტრელეცის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასოვსკის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ტუპიჩევის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბელიანჩიკის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **სტრის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**სტრის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 5 აგვისტოს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდათოხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **სტრი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **სტრის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 5 აგვისტო.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი ყოველთვის უდიდეს გულისხმიერებასა და მზრუნველობას იჩენდნენ და იჩენენ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმისადმი. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სამამულო ომის ძნელ დღეებში. ამის ნათელი დადასტურებაა ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია სკოლის დარგში სამამულო ომის დროს. ბავშვებს სწავლის შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი.

ამჟამად სკოლები სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან: ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. საქართველოში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყო.

მზადების პირველი უმნიშვნელოვანესი საკითხია სასკოლო ასაკის ბავშვებისა და სკოლიდან განთესილი მოსწავლეების ზუსტი აღრიცხვა. მთელ რიგ რაიონებში დროულად შეუდგნენ ამ საქმეს. მახარაძის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ხაშურის, გურჯაანის, გორის, სიღნაღისა და სხვა რაიონებში 10 ივლისისათვის უკვე დამთავრებული იყო სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა აღრიცხვა და საბუთების გაფორმება.

მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას, სკოლაში მათი ჩაბმის საქმეს ყველგან როდი მოეკიდნენ ერთნაირი პასუხისმგებლობით. ხობის, ყარაიის, ბოლნისის, ყვარლის, სტალინირის რაიონების ყველა სასკოლო უბანში როდი ჩატარებულა სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. ეს შეუწყნარებელია. განათლების დარგის მუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მუშაობას პარტია და მთავრობა შეაფასებენ იმის მიხედვით, თუ როგორ შესძლებენ ისინი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებას, სკოლის ასაკის ყველა ბავშვის მიზიდვას სკოლაში.

მზადების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სკოლების დაკომპლექტება მცოდნე, გამოცდილი პედაგოგებით. მთელი რიგი რაიონების სკოლები უკვე უზრუნველყოფილი არიან მასწავლებლებით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვქონდეს.

1 აგვისტოსათვის საქართველოს სკოლებს აკლდა 800 მასწავლებელი. ჩვენ საკმაო რაოდენობით გვყავს პედაგოგიური კადრები, მაგრამ ბევრი მათგანი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. განათლების სახალხო კომისარიატის, განათლების განყოფილებების ვალია ყველა ზომა მიიღონ აღნიშნული ამხანაგების სკოლებში დასაბრუნებლად. პირველ სექტემბერს სკოლებს არც ერთი მასწავლებელი არ უნდა აკლდეს.

სამამულო ომის მძიმე დღეებში სკოლებისათვის სახალხო მზრუნველობა არა თუ შესუსტდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. საბჭოთა საზოგადოებრიობა აქტიურად მონაწილეობს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მხრივ მისაბაძი მაგალითები გვიჩვენეს ლანჩხუთის, გურჯაანის, ხაშურის, მახარაძის, ტყიბულის რაიონების კოლმეურნეებმა და მშრომელმა მოსახლეობამ. მათ დაამზადეს სასკოლო შენობების რემონტისათვის საჭირო ყველა სამშენებლო მასალა, თავიანთი მუშა-საქონლით მიზიდეს ადგილზე, გამოჰყვეს შესაკეთებლად ხელოსნები და შეაკეთეს სასკოლო ავეჯი. კოლმეურნეთა უაღრესად აქტიური, საქმიანი მონაწილეობით ლანჩხუთის რაიონის ოცდათხუთმეტივე სასკოლო შენობა, რომელთაც შეკეთება სჭირდებოდა, 20 ივლისისათვის უკვე მზად იყო. ამასთანავე შეძენილია 220 ახალი მერხი, 110 დაფა და სხვა სასკოლო ნივთები. გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით გაუკეთა სკოლას კაპიტალური რემონტი, აუშენა სამი ახალი საკლასო ოთახი.

ზოგიერთ რაიონებში ადგილობრივმა ორგანოებმა ყურადღება არ მიაქციეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმას. ყვარლისა და ყარაიის რაიონებში 15 ივლისისათვის არც ერთი სასკოლო შენობა არ იყო შეკეთებული. არაფერი იყო გაკეთებული აგრეთვე სასკოლო ინვენტარის რემონტისათვის.

როგორც ყოველთვის, ისე ახლაც სახალხო განათლების მუშაკებს, სკოლების დირექტორებს გვერდში უნდა უდგნენ კომკავშირული ორგანიზაციები. სკოლა კომკავშირის მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება კომკავშირის სისხლხორცეული საქმეა. კომკავშირელები უნდა დაეხმარონ განათლების ორგანოებს სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვაში, ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოთა შეგროვებაში, სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთებაში.

იმ მოწინავე კომკავშირული ორგანიზაციების გვერდით, რომლებიც მხარში უდგანან განათლების ორგანოებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში, არიან ორგანიზაციები, რომლებსაც ჯერჯერობით ამ მხრივ ხელიც არ გაუნძრევიათ. სოფელ დვირის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლას ექვსი მერხი ჰქონდა შესაკეთებელი. ეს დიდ მუშაობას არ მოითხოვდა. სკოლის დირექტორი და კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი კოლმეურნეობას უცდიდნენ — როდის შეაკეთებენო, და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ მერხების შეკეთება სულ ადვილად შეეძლოთ უფროსი კლასების მოსწავლეებს.

კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან განათლების ორგანოებთან ერთად იზრუნონ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობებზე. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ 1 სექტემბერს სკოლაში მოსულ ბავშვებს დახვდეთ ლამაზად და სუფთად მოწყობილი სასკოლო შენობები, კარგად შეკეთებული მთელი სასკოლო ინვენტარი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შევეგებებით ახალ სასწავლო წელს, დამოკიდებულია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვებს — ფრონტისა და ზურგის მამაც მებრძოლთა შვილებს — 1 სექტემბერს საყვარელი სკოლა ყოველმხრივ მზად დახვდეთ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
5 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

5 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ვიკშნი, სალენიეკი, ლაბანი, რომული, ზელტინი, დარკევიჩი, ოძიენა, რუცანი, მეჟრატიტესი, სიქსტული.

ქალაქ კაუნასის (კოვნო) ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მოიწევდნენ წინ და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დიძიული, კალნიშკი, ბუტკიშკი, კრუკი, ილგოვო, იურგბუძე, სტოშკი, დიდვიჟე, დრეიგულინი, სემენელიშკი.

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კამენჩიკი, ძეჟბი, იაგლონა, როგუვი, კოჟუხუვი, იაროსლავი, კოვოსი, სვინიარი, მოკობოდი, მენჩინი, პროშევი.

მდინარეების სანისა და ვისლის შესართავის სამკუთხედში ჩვენი ჯარები წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის პლაცდარმის სალიკვიდაციოდ და დაიკავეს ქალაქები როზვადუვი, ტარნობჟეგი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მაიდანი, სკოვეჟინი, ვუავი, გოჟიცე, სოგუვი, მოკშიშუვი და რკინიგზის სადგურები როზვადუვი, ზბიდნიუვი, სობუვი, ტარნობჟეგი.

ქალაქ სანდომირის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ქალაქ ჟეშუვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვოიკუვი, როჟნიატი, მლოდოხუვი, ცირამკა და რკინიგზის სადგურები პადევი, იასლიანი, ხოჟელიუვი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, გადალახეს მდინარე სტრი და 5 აგვისტოს იერიშით დაიკავეს დიდი სარკინიგზო კვანძი და გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი კარპატების მთისძირებში ქალაქი სტრი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

4 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 128 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 85 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცა) ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ ლუბანის დაბლობის ძნელად გასავლელ ტყიან-ჭაობიან ადგილს და შეტევას განაგრძობდნენ. ლუბანის ტბის ჩრდილოეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს ჭაობების ფართო ზოლი, მიადგნენ მდინარე პედეძას და გააჩაღეს ბრძოლები გადასასვლელებზე. ჩვენმა სხვა ნაწილებმა, რომლებიც ქალაქ რეზეკნეს დასავლეთით უტევენ, წინ წაიწიეს 8-10 კილომეტრით და გადალახეს მდინარეები ისლიენა და ოძე. ჰიტლერელები განდევნილი არიან ოძიენის ყამირგზების კვანძიდან. მთლიანად მოსპობილია გერმანელთა 343-ე და 868-ე მცველი ბატალიონები. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 360 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა, მათ შორის 220 ტყვიამფრქვევი, 3 ათასამდე შაშხანა, 270 ათასი ყუმბარა და 200 ათასზე მეტი ვაზნა.

საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 13 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ქალაქ კაუნასის (კოვნო) ჩრდილო-დასავლეთით გაფთრებული ბრძოლები მოხდა მდინარე დუბისის ზღუდეზე. მოწინააღმდეგეს აქ წინასწარ ჰქონდა მომზადებული ხანგრძლივი სიმაგრეები. 6 შენაერთის ნაწილებმა ღამით გადალახეს მდინარე დუბისა და სწრაფი იერიშით განდევნეს გერმანელები გამაგრებული პოზიციებიდან. მოსპობილია მტრის 700 ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი.

ქალაქ კაუნასის დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. გერმანელთა კონტრიერიშები მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 54 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, მოსპობილია 29 საველე ქვემეხი და 130 ავტომანქანა. წამოღებულია დიდძალი დავლა და წამოყვანილია მრავალი ტყვე.

გერმანელებმა ბრძოლაში ავიაციის დიდი ძალები ჩააბეს. საბჭოთა მფრინავები საიმედოდ იფარავენ თავიანთ სახმელეთო ნაწილებს და მტერს მძიმე ზარალს აყენებენ. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 40 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის 9 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით. ჩვენი ბომბდამშენები და მოიერიშეები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციების კვანძებს აღმოსავლეთ პრუსიაში — შტალუპენენსა და ეიდკუნენს. ამ ქალაქების სარკინიგზო სადგურებზე დამსხვრეულია გერმანელთა რამდენიმე სამხედრო ეშელონი. ჩვენმა მფრინავებმა აგრეთვე წარმატებით დაბომბეს მოწინააღმდეგის თავმოყრილი კარჭაპები მდინარე ნემანზე, იურბარკასის ნავსადგურის რაიონში.

* * *

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგე იყენებს თავდაცვისათვის ხელსაყრელ ზღუდეებს და ძლიერი ცეცხლითა და კონტრიერიშებით ცდილობს შეაჩეროს საბჭოთა ნაწილების წინსვლა. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმავალ გზატკეცილებისა და გაუმჯობესებული გზების რაიონში. 6 შენაერთის ქვეითებმა და არტილერისტებმა შემოვლითი მანევრი მოაწყვეს და ჰიტლერელებს ხელსაყრელი პოზიციები წაართვეს. კონტრიერიშზე გადმოსული მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლში მოხვდა და მთლიანად იქნა მოსპობილი. ბრძოლის ველზე მტრის 600-ზე მეტი გვამი დარჩა. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილები წინ მიიწევდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. დღის განმავლობაში მოსპობილია 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი და 18 ქვემეხი. საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელებს წაართვეს 5 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ქალაქ სანდომირის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ვისლის დასავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგემ ახალი სატანკო და ქვეითი ნაწილები მოიყვანა და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს. მთელ დღეს სწარმოებდა გაფთრებული ბრძოლები. 6 შენაერთის ნაწილებმა გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს. მოსპობილია მტრის 1.600 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 20 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს ქალაქი სტრი. ამ ქალაქის მნიშვნელობა გერმანელთა თავდაცვის სისტემაში კარპატების მთისძირებში ძლიერ დიდია. სტრიში თავს იყრის ხუთი რკინიგზა და ბევრი გზატკეცილი. ქალაქს მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალები იცავდნენ. გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ეს დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი თავიანთი თავდაცვისა კარპატების მთისძირებში. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, გადალახეს მდინარე სტრი. საბჭოთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და ქალაქ სტრის სამხრეთიდან მოუარეს. ჩვენმა სხვა ნაწილებმა მტერს ფრონტალური დარტყმა მიაყენეს და ქალაქის ქუჩებში შეიჭრნენ. დღეს ჩვენმა ჯარებმა, ქუჩებში გამართული გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, მთლიანად გაწმინდეს ქალაქი სტრი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. გერმანელთა და უნგრელთა ჯარებს მძიმე ზარალი მოუვიდათ. საბჭოთა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ფინეთის ყურეში საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 10 თვითმფრინავი.

მოსკოვს ჩამოვიდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას (პოლონეთის ნაციონალური საბჭოს) თავმჯდომარე ბ-ნი ბ. ბერუტი და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი

5 აგვისტოს ლიუბლინიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას (პოლონეთის ნაციონალური საბჭოს) თავმჯდომარე ბ-ნი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ვიტოსი, პოლონეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მ. როლია-ჟიმერსკი და სხვები.

ჩამოსულებს მოსკოვის აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ლ. ვასილევსკაია, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ევროპის მე-4 განყოფილების გამგე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი გ. ი. ფომინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ე. ლ. ევსტიგნეევი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი კ. რ. სინილოვი და სხვები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო პოლონური და საბჭოთა ალმებით.

სსრ კავშირის პროკურატურაში

უკანასკნელ დროს პროკურატურის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია საწარმო-დაწესებულებათა მთელი რიგი თანამდებობის პირები, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სამხედრო მრეწველობის საწარმოების დეზერტირთა მფარველობასა და დაფარვაში.

სამხედრო მრეწველობის საწარმოების დეზერტირთა მფარველობისა და ბოროტად დაფარვისათვის გასამართლებულ იქნენ და მიესაჯათ:

კემეროვოს ოლქის ქ. სტალინსკის ალიუმინის ქარხნის კადრების განყოფილების უფროსს ა. ლ. გორბუნოვს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და ამავე ქარხნის პირადი მაგიდის გამგეს მ. მ. ზახაროვს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

ივანოვოს ოლქის პესტიაკის რაიონის ზარანოვსკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ვ. კოშნევს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

კიროვის ოლქის არბაჟის რაიონის სამოხვალოვოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ვ. სმირნოვს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. გასამართლებული და მსჯავრდადებული არიან სხვა პირებიც.

სსრ კავშირის პროკურორმა სათანადო მითითებანი მისცა პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს.

ი. ე. რეპინის ხსოვნის საღამო

გუშინ, 5 აგვისტოს, ფილარმონიის საზაფხულო თეატრში შესდგა დიდი რუსი მხატვრის ილია ექვთიმეს-ძე რეპინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. საღამო გაიხსნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ო. ეგაძის შესავალი სიტყვით. რეპინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. შ. მამალაძემ. რესპუბლიკის დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა მ. თოიძემ დამსწრეთ უამბო მისი რეპინთან შეხვედრების შესახებ.

საზეიმო ნაწილის შემდეგ შესდგა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის საუკეთესო მსახიობები.

საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტეს
კიზელის ქვანახშირის ბასეინის სტალინის სახელობის შახტის მაღაროელთა კოლექტივის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

უკვე სამ წელზე მეტია ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები — წითელი არმიის გმირი მეომრები მკერდით იცავენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა ქვეყნის ღირსებასა და დამოუკიდებლობას, დაუნდობლად ელეტენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

სამი წელია მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებულად მუშაობს ქარხნებსა და შახტებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, უზრუნველჰყოფს წითელ არმიას პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით და ყველაფრით, რაც აუცილებელია გამარჯვებისათვის.

საბჭოთა მშრომელების რიგებში საპატიო ადგილი დაიკავეს ქვანახშირის მეშახტეებმა, რომლებმაც გვიჩვენეს შრომითი გმირობისა და თავიანთი სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშები.

ერთი წუთითაც არ სწყდება ჩვენი მიწის წიაღში ათასობით სანგრევი უროს ხმაური. ასობით მძიმე მიწისქვეშა „ტანკი“ — საჭრელი მანქანა განუწყვეტლივ ღრღნის ქვანახშირის ფენებს და ამოაქვს მილიონობით ტონა უძვირფასესი სათბობი.

სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში, როცა ახლოა სასურველი ჟამი ჩვენი სრული გამარჯვებისა, საბჭოთა ზურგის მშრომელებს მოეთხოვებათ ძალთა კიდევ მეტი დაძაბვა ფრონტისადმი დახმარების გასადიდებლად.

ამხანაგო მეშახტეებო!

ჩვენს მუშაობაზეა დამოკიდებული ტრანსპორტის, ფაბრიკების, ქარხნებისა და ელექტროსადგურების შეუფერხებელი მუშაობა. პარტია მოგვიწოდებს გავზარდოთ ქვანახშირის ამოღება, სავსებით უზრუნველვყოთ სათბობით ფრონტისა და ზურგის მთელი მოთხოვნილება. თვითეულ საბჭოთა მეშახტეს ამ მოწოდებაზე ერთადერთი ღირსეული პასუხი აქვს: **მივცეთ დღეს უფრო მეტი ქვანახშირი, ვიდრე გუშინ,—ხვალ უფრო მეტი, ვიდრე დღეს.**

ჩვენ, კიზელის ქვანახშირის ბასეინის სტალინის სახელობის შახტის მუშები და მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადამდე — 1944 წლის 10 დეკემბრისათვის შევასრულოთ ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური გეგმა.
2. ყოველთვიურად, 1944 წლის 1 აგვისტოდან დაწყებული, მივცეთ გეგმის ზევით ექვს-ექვსი ათასი ტონა ანუ ექვსი ეშელონი ქვანახშირი გამარჯვების ფონდს.
3. ყოველთვიურად წლის ბოლომდე გავზარდოთ თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება სულ მცირე 2-4 პროცენტით წინა თვესთან შედარებით.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტეს მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს.

ამხანაგო კუზბასის მეშახტეებო!

თქვენ მოგმართავთ ჩვენი პირველი სიტყვით.

მრისხანე დღეებში, როცა დონეცის ბასეინი დროებით ოკუპირებული იყო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ, თქვენ დაგეკისრათ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა—უზრუნველგეყოთ აღმოსავლეთის მეტალურგია კოქსვადი ქვანახშირით, თავდაცვითი მრეწველობა და ტრანსპორტი—მაღალხარისხოვანი სათბობით. თქვენ ღირსეულად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

თქვენ მიეცით ამხანაგ სტალინს მეშახტის დიადი ფიცი—მიგეღწიათ კუზნეცკის ბასეინის საწარმოო სიმძლავრის შემდგომი გაფართოებისათვის და ყოველნაირად გაგეძლიერებინათ დახმარება შემტევი წითელი არმიისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად შეასრულებთ ამ თქვენს ფიცს.

ამხანაგო ურალის მეშახტეებო!

თქვენ არ დაიშურეთ ძალ-ღონე, შესძელით უზრუნველგეყოთ ქვანახშირით ურალის მრეწველობა და ტრანსპორტი, მიაღწიეთ ომისწინა დროსთან შედარებით ქვანახშირის ამოღების გაორკეცებას. მაგრამ ამჟამად ეს აღარ კმარა. ურალს შეუძლია მოგვცეს და კიდეც უნდა მოგვცეს მეტი ქვანახშირი, რომ გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი და ამით მოვაახლოოთ გამარჯვების ჟამი.

ამხანაგო ყარაგანდის მეშახტეებო!

თავდადებული შრომით თქვენ მიაღწიეთ იმას, რომ ყარაგანდის ქვანახშირის ამოღება ომის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა ომისწინა დროსთან შედარებით.

თქვენი ბასეინის კოქსვადი ქვანახშირი შეუფერხებლად ჰკვებავს მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატს და უზრუნველჰყოფს ყაზახეთის მთელი მრეწველობის მძლავრ ზრდას. იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის.

ამხანაგო დონბასის მეშახტეებო!

დონბასის გათავისუფლების დროიდან ათი თვის განმავლობაში თქვენ უდიდესი აღდგენითი მუშაობა ჩაატარეთ. ყოველდღიურად იზრდება დონეცის შახტების ქვანახშირის ამოღება. თქვენი ქვანახშირით უკვე მუშაობენ უკრაინისა და ჩვენი ქვეყნის სამხრეთის აღდგენილი მეტალურგიული, მანქანათმშენებელი ქარხნები და ელექტროსადგურები, თქვენს ქვანახშირს კვლავ მიჰყავს ფრონტისაკენ ათასობით ეშელონი ჯარებიანად, საჭურვლიანად და საომარ მასალიანად.

მაგრამ თქვენ, ამხანაგებო, მოგეთხოვებათ ძალ-ღონის კიდევ მეტი დაძაბვა, რომ ჩვენს ქვეყანას აძლიოთ დონეცის სულ უფრო და უფრო მეტი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღვადგინოთ ჩვენი მშობლიური დონბასი კიდევ მეტი ძლიერი სახით, ვიდრე იგი წინათ იყო.

დონბასის მეშახტეებო! იმუშავეთ ისე, როგორც მუშაობენ თქვენი საუკეთესო ადამიანები—დონბასის სიამაყე—ამხანაგები **პანაშჩატენკო, გოლოკოლოსოვი, კადია, იუმაშოვი, პარშიკოვი** და სხვები.

დონბასის მეშახტე ქალებო! **მიჰბაძეთ** თქვენი გმირი დების—დონეცის მეშახტე ქალების ნინო **კუზმენკოსა** და მარიამ **პიკოვას** მაგალითს!

ამხანაგო მოსკოვსახლო ბასეინის მეშახტეებო!

შეუპოვარი გმირული შრომით 18 თვის განმავლობაში, რამაც განვლო გერმანელ დამპყრობთაგან ბასეინის გათავისუფლების დროიდან, თქვენ არა მარტო ხელახლა აღადგინეთ მოსკოვსახლო შახტები, არამედ შესძელით კიდეც ერთნახევარჯერ და კიდევ მეტად გადაგეჭარბებინათ ქვანახშირის ამოღების ომამდელი დონისათვის. ჩვენი ქვეყანა და ფრონტი დღეს კიდევ მეტ მოთხოვნებს გვიყენებენ. განუხრელად გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება! იბრძოლეთ თქვენი ბასეინის შახტების მიერ ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის!

ამხანაგო მანქანათმშენებლებო!

თქვენზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი მუშაობის წარმატება. უფრო სწრაფად შეასრულეთ ქვანახშირის ბასეინების დაკვეთები. მოწყობილობით დონბასის შეუფერხებლივ მომარაგებით დაეხმარეთ საკავშირო სამეცეცხლურეს სწრაფად აღდგენას.

ხე-ტყის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

შახტების გაყვანა გამაგრებას მოითხოვს. სამაგრი ხე-ტყის გარეშე არ შეიძლება ქვანახშირის ამოღება, დანგრეული შახტების აღდგენა და ახალი შახტების აგება. მოგვეცით მეტი სამაგრი ხე-ტყე, ბიგი, დახერხილი ხე-ტყე, ამით თქვენ დაგვეხმარებით სათბობის ამოღების გადიდებაში.

ამხანაგო რკინიგზელებო!

უფრო სწრაფად ატარეთ ეშელონები ქვანახშირიანად! თვითეული საათი, რომელიც შეამცირებს ქვანახშირის გზას ქარხნებისა და ელექტროსადგურებისაკენ, დაე რკინიგზელის ღირსების საქმე გახდეს.

ამხანაგო მეშახტეებო!

ვამაყობთ რა სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულების შეგნებით, ამ ისტორიულ დღეებში მივცეთ მეშახტის საზეიმო ფიცი ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ ღირსეულად შევასრულებთ ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მთელს ჩვენ ძალღონეს და ფიქრებს მოვახმართ გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს!

**მიღებულია სტალინის სახელობის შახტის მეშახტეთა კრებაზე.
მიმართვას ხელს აწერს 1.222 კაცი.**

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ლიბანის რესპუბლიკას შორის

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ლიბანის მთავრობის წინადადება სსრ კავშირსა და ლიბანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ.

1944 წლის 31 ივლისს ლიბანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელიმ ტაკლამ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე გამოგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ლიბანის რესპუბლიკის მთავრობა მხურვალე სურვილს გამოსთქვამს დაამყაროს გულითადი დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან.

ეს სურვილი შეესაბამება ღრმა მისწრაფებას ლიბანელი ერისას, რომელიც უაღრესად აღტაცებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა შესანიშნავი გმირობით და იმ გამოცხადებული პრინციპებით, რომლებიც საფუძვლად უძევს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა საგარეო პოლიტიკას. ლიბანელი ხალხი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, რასაც მან ეხ-ეს არის მთლიანად მიაღწია, სავსებით დარწმუნებულია, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ემყარება ყველა ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემას—პრინციპებს, რომლებიც შეუთავსებელია დაპყრობისა და ბატონობის ცდებთან ისევე, როგორც კაპიტულაციებთან, პრივილეგიებთან და სხვა უპირატესობებთან, რითაც სარგებლობდა მეფის რუსეთი.

გამოსთქვამს რა თავის გრძნობებს, ლიბანის რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც თავისუფლად დადგა დემოკრატების მხარეზე მათს გმირულ და სახელოვან ბრძოლაში ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ, ფიქრობს, რომ ორივე ჩვენს ქვეყანას შორის დიპლომატიური მისიების გაცვლა შეჰქმნის ლიბანის სუვერენიტეტის ახალ და ბედნიერ გარანტიას.

ამის გამო პატივი მაქვს ვთხოვო თქვენს აღმატებულებას თქვენი მთავრობის თანხმობა საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის დანიშვნაზე, რომელსაც ლიბანის მთავრობა წარმოგზავნის საბჭოთა სოციალისტური, რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან, როგორც კი იმავე რანგის დიპლომატი აკრედიტებული იქნებოდა მასთან“.

ამ დეპეშის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა გაუგზავნა ბატონ სელიმ ტაკლას შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა დიდად აფასებს იმ გრძნობებს, რაც თქვენ გამოსთქვით ლიბანის რესპუბლიკის სახელით საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირობის მიმართ, რომელიც გამოვლინდა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამზრახველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით ღებულობს ლიბანის რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას სსრ კავშირსა და ლიბანს შორის მეგობრული, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა მზად არის წარმოგზავნოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან და მიიღოს ლიბანის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი, რომელიც აკრედიტებული იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან“.

ტ. ტ. ტაჟიბაევი—ყაზახეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ალმა-ატა, 4 აგვისტო (საკდესი). ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტულეგენ ტაჟიბაის-ძე ტაჟიბაევი დანიშნულია ყაზახეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

აგიტატორი მარგო წირღვავა

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). დილაადრიან შეიკრიბებოდნენ სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრები. მოიკითხავდნენ ერთმანეთს: ვინ ვაკლიათ.

— იასონ ყუფუნია არ გამოდის სამუშაოზე! — ყოველთვის ამას სჩიოდა ბრიგადირი თამარ ყუფუნია. მას ძლიერ აწუხებდა ის, რომ მუშახელის სიმცირის დროს ერთი მკლავის ძალა აკლდებოდა ბრიგადას. თუ გარჯას არ დაიზარებდა, საქმეს ხელს დაატყობდა ჯანიერი ახალგაზრდა კოლმეურნე.

ბრიგადის აგიტატორი ამხ. მარგო წირღვავა დააფიქრა ამ მდგომარეობამ. მან სისტემატურად დაიწყო სიარული კოლმეურნე ი. ყუფუნიას სახლში. აგიტატორი მარტივად და ხალისიანად უხსნიდა იასონს ფრონტისა და ზურგის ამბებს, თანაც ეუბნებოდა:

— შენ კოლმეურნე ხარ, გიყვარს შენი სამშობლო და აბა რას აკეთებ მისი გამარჯვებისათვის? ხომ იცი, რომ ჩვენს ბრიგადაში ხანდაზმულ კოლმეურნეებსაც არა აქვთ 250-ზე ნაკლები შრომადღე. შენ რას უყურებ?

მარგო წირღვავა ისე დამაჯერებლად, ამხანაგურად, გულჩამწვდენად ატარებდა საუბარს, რომ არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა. მართლაც, კოლმეურნე ი. ყუფუნიას მალე დაეტყო გამოსწორება.

აგიტატორი თვალყურს ადევნებდა ყუფუნიას წარმატებებს, წასახალისებლად საკოლმეურნეო და სავალე კედლის გაზეთშიც სწერდა იმის შესახებ, თუ როგორ გამოსწორდა იგი.

შედეგი? — ახლა კოლმეურნე იასონ ყუფუნია მთელი კოლმეურნეობის საყვარელი და საამაყო ადამიანია. სტახანოვურ მუშაობასთან ერთად იგი აქტივისტიც გახდა. თვითონ ამხ. ყუფუნია ხშირად ამბობს ხოლმე: აი, რა შესძლებია აგიტატორსო.

და განა მარტო ი. ყუფუნიაზე იმოქმედა აგიტატორ წირღვავას მგზნებარე და მართალმა სიტყვამ? კოლმეურნე ქალები ნატამა და ნუცა ყუფუნიები დარცხვენით, მაგრამ გულღიად მოგვითხრობენ, რომ ისინი წინათ, სანამ აგიტატორი დაეხმარებოდა მათ, ჩამორჩენილ კოლმეურნეებად ითვლებოდნენ. ახლა კი ორივე სტახანოვურად მუშაობს.

აგიტატორ წირღვავას ხელი ყველგან სჩანს. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ პირველი ბრიგადა მოწინავეა არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ მთელს რაიონში.

ბრიგადაში არის პატარა ფარდული, სადაც კოლმეურნეები თავს იყრიან შესვენების დროს. აქ ყველა პირობა არის აგიტაციის სამაგალითოდ ჩატარებისათვის. ფარდული მორთულია სურათებით, პლაკატებით, მოწოდებებით, აქვე არის რუკაც. ეს დიდად ეხმარება კოლმეურნეებს სამამულო ომის მიმდინარე მომენტის გარკვევაში.

ამხ. წირღვავა თვითონ ხელმძღვანელობს ბრიგადის სავალე გაზეთს, რომელიც ორ დღეში ერთხელ დაუღვიანებლივ გამოდის. აგიტატორი ყოველმხრივ ხელს უწყობს მოწინავე კოლმეურნეების გამოცდილების ფართოდ დანერგვას. იგი ყველა კოლმეურნეს აცნობს სტახანოველების — ბ. ყუფუნიას, ჯ. ბერიას, პ. ჯოჯუას, ნ. ბერიას, მ. ყუფუნიას, ი. ყუფუნიას, შ. კეღიას, პ. ყუფუნიას, მ. ბერიას და სხვათა წარმატებებს. აგიტატორი სწავლობს და შემდეგ ყველა კოლმეურნეს ასწავლის და აცნობს მათი მუშაობის მეთოდებს.

ასე მუშაობს სოფლის მასწავლებელი, ნიჭიერი აგიტატორი ამხ. მარგო წირღვავა საკოლმეურნეო ბრიგადაში.

ხუტა ბერულავა

ვისწავლოთ მოწინავეთა მაგალითზე

ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში ბევრი აგიტატორი წარმატებით მუშაობს. ისინი ესაუბრებიან მშრომელებს სამამულო ომის ეპიზოდებზე, გმირი წითელი არმიის გამარჯვებებზე, ფრონტებზე მიღწეულ წარმატებებს უკავშირებენ ადგილობრივ ამოცანებს და რაზმავენ მასებს სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობაში (ბათუმის რაიონი) მოუწესრიგებელი იყო შრომა, კოლმეურნეების ნაწილი თავს არიდებდა მუშაობას. ბრიგადას, სადაც აგიტატორად არის ამხ. ვ. ჩხაიძე, 20 მაისისათვის ჩაის კრეფის გეგმა მხოლოდ 27 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად აგიტატორის ინიციატივით რგოლებსა და ჩაის მკრეფავებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა. ამხ. ჩხაიძე უშვებდა სავალე გაზეთს, ესაუბრებოდა კოლმეურნეებს წითელი არმიის საბრძოლო წარმატებების შესახებ, აღნიშნავდა, თუ რა მოვალეობა აქვთ ზურგის მუშაკებს, კერძოდ, ჩაის მკრეფავებს. აგიტატორის დამაჯერებელმა სიტყვამ კარგი შედეგი გამოიღო. ბრიგადაში იმატა მუშახელმა. უზრუნველყოფილ იქნა ჩაის კრეფის ყოველდღიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ამხ. ჩხაიძეს მიჰბაძეს აგიტატორებმა ე. ცირხელმა და ლ. კოპალეიშვილმა. ისინი გულდასმით ამზადებენ სასაუბრო თემებს, სწავლობენ სამეურნეო გეგმის შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს და სახავენ ღონისძიებებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ამის შედეგად კოლმეურნეობაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ (ქობულეთის რაიონი) შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგად მაისის გეგმა დიდი დანაკლისით შეასრულა. ივნისიც ცუდი მაჩვენებლებით დაიწყო. აგიტატორებმა ნ. სილაგაძემ და ვ. კვანტალიანმა კოლმეურნეებს განუმარტეს, თუ რა მავნე შედეგი მოაქვს ჩაის ფოთლის კრეფის დაგვიანებას. ბრიგადების მუშაობა მალე გაუმჯობესდა. კოლმეურნეობამ ივნისის გეგმა ორი დღით ადრე შეასრულა, აგრეთვე წარმატებით იმუშავა ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მსგავსი მაგალითი ბევრია.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სტალინისა და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში (ბათუმის რაიონი), ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებისათვის. აგიტატორების უმრავლესობა მხოლოდ გაზეთების კითხვით კმაყოფილდება. საუბრები ხშირად არ არის კონკრეტული. ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას. აგიტკოლექტივებიც არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევენ აგიტატორებს, არ ამოწმებენ მათს მუშაობას, არ ეხმარებიან ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან არსებულ აგიტკოლექტივს სამუშაო გეგმა არა აქვს. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. რატიანი დაკმაყოფილებულა ქობულეთის პარტკაბინეტიდან გამოგზავნილი საორიენტაციო საკითხებით, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და სრულებით არ არის შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან.

ასეთი შემთხვევა ქობულეთის რაიონში ცოტა როდია. პარტკაბინეტის მუშაკებიც იშვიათად დადიან ადგილებზე, სათანადოდ არ ეხმარებიან აგიტკოლექტივებს და ცალკეულ აგიტატორებს.

უდიდეს მაორგანიზებელ როლს ასრულებენ ლექციები, კონსულტაციები და პოლიტიკური მოხსენებები სოფლად. ამ ღონისძიებების გატარებისათვის საკმაო მუშაობაა ჩატარებული ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში, მაგრამ მთავარ ნაკლად ჯერ კიდევ რჩება ლექცია-კონსულტაციების თემატიკის ერთფეროვნება. ლექციებისა და კონსულტაციების თემატიკაში ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით ვხვდებით საკითხებს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიიდან და ეკონომიკის საკითხებიდან.

აჭარაში არის პირობები იმისათვის, რომ საკმაო რაოდენობით ტარდებოდეს ლექციები და კონსულტაციები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიისა, ეკონომიკის საკითხებზე. საჭიროა ეს პირობები გამოვიყენოთ.

ბ. თათარიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 27 ივლისს შესდგა, განიხილა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ა. ქურდიანის მოხსენება ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქ სოხუმის სკოლების მზადების შესახებ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სოხუმის სკოლები გაცხოველებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. ქალაქის მრავალმა საწარმომ და სამშენებლო ორგანიზაციამ სკოლებზე შეფობა იკისრეს და საკუთარი ძალებით არემონტებენ შენობებს, ამარაგებენ სკოლებს შეშითა და ინვენტარით. თვალსაჩინო მუშაობა გასწია იმ მშენებლობის სამმართველომ, რომლის უფროსია ამხ. ცატუროვი. ამ სამმართველომ ქალთა მე-2 ქართულ საშუალო სკოლას შეუკეთა 11 საკლასო ოთახი, 100 მერხი და სხვა ინვენტარი. კარგად ეხმარებიან სკოლებს აგრეთვე ტყავფეხსაცმლის კომბინატი და აფხაზეთის სარეწაო კოოპერატიული კავშირი.

ამასთან პლენუმზე ითქვა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს სკოლების შენობათა შეკეთება. მაგალითად, ქალთა მესამე რუსულ საშუალო სკოლაში დღემდე არ გაურემონტებიათ საკლასო ოთახები და მერხები, მოუვლელია სკოლის ეზოც. სუსტად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის სოხუმის ქართული, აფხაზური, რუსული და სომხური პედაგოგიური სასწავლებლებიც.

სკოლები ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის მასწავლებლებით.

მეორე საკითხად მოსმენილ იქნა ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ.

ორივე საკითხის გარშემო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. მგელაძე.

მოსმენილ საკითხებზე მიღებულია სათანადო დადგენილებანი.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა პარტიის სოხუმის ქალაქკომის მესამე მდივნად აირჩია ამხ. ვ. ბალავაძე და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

გ. მერკვილაძე

ტყიბულელები ზრდიან ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან) ივლისში კვლავ წარმატებით იმუშავა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ნ. კვინიხიძე ხელმძღვანელობს. შახტმა გეგმა 102,7 პროცენტით შეასრულა.

შახტის მეხუთე საექსპლოატაციო უბანმა (ხელმძღვანელი გ. ფანჩულიძე) გეგმას 14,9 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო მესამე საექსპლოატაციო უბანმა, (ხელმძღვანელი ლ. ვაშაკიძე) გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 300 ტონა ქვანახშირი.

შახტის ცვლებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მეხუთე საექსპლოატაციო უბნის ის ცვლა, რომელსაც ნ. ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ ივლისის დავალება 124 პროცენტით შეასრულა.

200 პროცენტით შეასრულა გეგმა ა. დარსაძის კომპლექსურმა ბრიგადამ.

შახტის მოწინავე ადამიანებია ზ. თოდიძე, ორდენოსანი ა. კასრაძე, ა. დარსაძე ა. კეპლაძე, ს. ქათამაძე,

სტალინის სახელობის შახტის პირველი უბნის (უფროსი ამხ. შ. შოთაძე), კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებას მიაღწია — დაამთავრა საექსპლოატაციოდ ახალი საკმაოდ ძლიერი ლავის მომზადება. ლავის მომზადებისათვის მუშაობაში თავი ისახელეს ამხ. შ. ფურცხვანიძემ, ჭ. ყიფშიძემ და დ. სუქნიძემ.

დიდი სიმძლავრის ახალი ლავა მოამზადა აგრეთვე მესამე უბნის კოლექტივმა. მომზადებული ლავების ექსპლოატაციაში გაშვების პირველ დღესვე — 2 აგვისტოს შახტმა 15 პროცენტით გაზარდა ქვანახშირის ამოღება.

დ. ქათამაძე

მეკონსერვეთა ახალი ვალდებულებანი

გორი („კომუნისტის კორესპონდენტისაგან). გორის საკონსერვო ქარხანამ ივლისის გეგმა 139 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული ათასი ცალი კონსერვი. ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების საპასუხოდ ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა აგვისტოს გეგმა ექვსი დღით ადრე — 25 აგვისტოსათვის შეასრულოს.

შ. ჩუბინიძე



სამამულო ომის დღეებში მწყობრში ჩადგა ალტაის სატრაქტორო ქარხანა. სურათზე: ტრაქტორები „ატზ-ნატი“ კონვეიერიდან ჩამოდიან.

ფოტო ა. ფატეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

5 კვირაში 500-ზე მეტი კილომეტრი

3 აგვისტოს მოსკოვის გაზეთებმა გამოაქვეყნეს რუკა, რომელზეც შტრიხებით არის აღნიშნული ფაშისტ დამპყრობთაგან წითელი არმიის მიერ 1944 წლის 23 ივნისიდან 2 აგვისტომდე განთავისუფლებული ტერიტორია. ეს რუკა, რომელსაც გაზეთის მთელი გვერდი უკავია, უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს. მასზე გრაფიკულად არის გამოსახული შედეგი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებისა, რომლებიც მოპოვებულია სწრაფი, მძლავრი, ომების ისტორიაში უმაგალითო შეტევის ხუთი კვირის განმავლობაში. ცალკეულ უბნებზე საბჭოთა ჯარებმა ამ ხნის განმავლობაში ბრძოლებით გაიარეს 500-ზე მეტი კილომეტრი. რუკა უამბობს საბჭოთა ადამიანებს და მთელ მსოფლიოს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჰიტლერელთა უღლისქვეშ ტანჯული ხალხების განთავისუფლებისათვის დაუვიწყარი ბრძოლების გმირულ ამბავს.

„როდესაც რუკას უყურებ, — სწერს მოწინავე სტატიაში „იზვესტია“, — კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოიდგენ სამხედრო ოსტატობის იმ მაღალ დონეს, რომელიც წითელმა არმიამ გამოიჩინა შეტევაში, და სტალინის აღზრდილების — სახელოვანი სარდლების ამ დაუვიწყარ დამსახურებას, რაც სამშობლომ აღნიშნა მაღალი დამსახურებული ჯილდოებით“.

წითელმა არმიამ თავისი საზაფხულო კამპანიის მსვლელობაში გაათავისუფლა ათიათასობით კვადრატული კილომეტრი სამშობლოს საბჭოთა მიწა-წყალი. რუკაზე აღნიშნულია ფრონტის ხაზი, რომელიც გადაჭიმულია ბალტიკიდან კარპატის მთებამდე, ფრონტის მკვეთრი ხაზები, მოძრავი კუთხეები მიმართულია დასავლეთისაკენ, იქ წითელი არმია ამსხვრევს გერმანიის სამხედრო მანქანის ძლიერებას.

ნავთის ქარავანი ასტრახანი - მოსკოვი

მთელი საბჭოთა ზურგი მონაწილეობას იღებს წითელი არმიის საგმირო საქმეში და ამარაგებს მას საომარი მასალით და საწვავით. ცნობილია, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს ნავთი თანამედროვე ომში. საბჭოთა ზურგი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა გადიდდეს და დაჩქარდეს საწვავის მიწოდება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენი სამდინარო ფლოტის მუშაკებმა, რომლებმაც ამას წინათ მოსკოვს გემთა ერთი ქარავანით რამდენიმე ათასი ტონა ნავთი მოიტანეს. ლაპარაკია ჩვენი სამდინარო ნაოსნობის ისტორიაში დიდტვირთიანი ნავთის ქარავნის პირველ გამჭოლ რეისზე ასტრახანიდან მოსკოვამდე, ქარავნისა, რომელმაც მოკლე ვადაში 3.200-მდე კილომეტრი გაიარა. მოსკოვის ჩრდილოეთ სამდინარო ნავსადგურში ქარავანს შეხვდნენ სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის მუშაკები სახალხო კომისარ ამხ. შაშკოვის მეთაურობით. ქარავანს რამდენიმე დიდტვირთიანი გემის შემადგენლობით ბუქსირობდა გემი „აკადემიკოსი გუბკინი“, რომელიც ნავიგაციის პირველი დღეებიდანვე დამსახურებულად ატარებს სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის ალამს.

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

მოსკოვში უკვე გაშლილია ენერგიული მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, რაც ცხადჰყოფს სახალხო განათლებისადმი საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური მზრუნველობის სიდიადესა და მნიშვნელობას. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უდიდესი საერთო-სახალხო ამოცანაა. ამ მხრივ მოსკოვი მაგალითს იძლევა. მიმდინარეობს სასკოლო შენობების რემონტი, რაშიც სკოლებს ენერგიულ დახმარებას უწევენ შეფები. ქარხნების კომკავშირული ორგანიზაციები სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის აგროვებენ მხატვრულ ლიტერატურას, აწყობენ წრეებს სასკოლო სახელმძღვანელოების აკინძვისა და რესტავრაციისათვის. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი მუშაობა დედაქალაქის საზოგადოებრიობის ყოველდღიური ყურადღებით სარგებლობს. ამ საქმეში საზოგადოების მონაწილეობის საკითხი განხილულ იქნა რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის მორიგ სხდომაზე. ამ სხდომაზე აღინიშნა, რომ სკოლებისადმი საზოგადოებრიობის დახმარება ამჟამად სამი მხრივ უნდა იყოს მიმართული. ყველა სკოლაში უნდა შეიქმნას სრული მატერიალური ბაზა — დროზე დამთავრდეს რემონტი, სკოლები უზრუნველყოფილ იქნან სათბობით, შესყიდულ იქნას სახელმძღვანელოები და სასკოლო ხელსაწყო. უნდა შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ თვითეული ბავშვი სწავლობდეს. ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლების საჭიროებათა დაკმაყოფილებას, შეუკეთდეს მათ ბინა, უზრუნველყოფილ იქნან სათბობით, სასურსათო ბაზით. განსახკომის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამჟამად შესამჩნევად გაიზარდა პედაგოგიური პროპაგანდის მნიშვნელობა. ლექციები მშობლებისათვის, კრებები საწარმოებში სკოლის, ბავშვთა აღზრდის საკითხების განსახილველად— ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტად დაუახლოებს საზოგადოებრიობას სკოლასა და მასწავლებლობას.

თათბირი კლასგარეშე კითხვის შესახებ

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ფრიად საინტერესო მუშაობა კლასგარეშე კითხვის შესახებ მოსკოვში მოწვეული სრულიად-რუსეთის თათბირისა, რომელიც ამასწინათ დამთავრდა. ამ თათბირზე მრავალი ფაქტით იყო ილუსტრირებული წიგნის უდიდესი გავლენა მოსწავლეთა ნებისყოფისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ბავშვთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაზე, მათი ცოდნის გაღრმავებაზე. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. პარფენოვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სახალხო განათლების ორგანოები ცუდად ეხმარებიან მასწავლებელს საბავშვო კითხვის დაყენების საქმეში. მან წინადადება შეიტანა მომავალი სასწავლო წლიდან დაწესებული იქნას საბავშვო კითხვის სავალდებულო მინიმუმი. თათბირმა მიიღო საბავშვო კითხვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ მიმართული დაწვრილებითი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

შეჯიბრების პირველი დღე

2 აგვისტოს კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედანზე დაიწყო შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები.

ქალთა გუნდებიდან მონაწილეობენ მოსკოვის „დინამო“ (სსრ კავშირის ჩემპიონი) და „სპარტაკი“, ლენინგრადის „ზენიტი“ და „ბურევესტნიკი“, აგრეთვე თითო გუნდი თბილისიდან, ბაქოდან, როსტოვიდან და ნოვოსიბირსკიდან.

პირველ დღეს ვაჟთა გუნდებს შორის ესტონეთის „სპარტაკმა“ მოუგო წითელი არმიის ლენინგრადის სახლის გუნდს ანგარიშით 35:15, საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისის „დინამომ“ — სვერდლოვსკის გუნდს—52:22; წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა — ლენინგრადის „ზენიტს“ — 53:12; მოსკოვის „სპარტაკმა“ — წითელი არმიის კიევის სახლის გუნდს — 35:22; მოსკოვის „დინამომ“ — წითელი არმიის ტაშკენტის სახლის გუნდს — 51:21; მოსკოვის „ლოკომოტივმა“ — გროზნოს „სპარტაკს“ — 61:28. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ესტონეთის კლუბ „კალევის“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრამ. საინტერესო და დაძაბული ბრძოლის შემდეგ თბილისელებმა მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 36:31.

ქალთა გუნდებს შორის წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა მოუგო როსტოვის „სპარტაკს“ ანგარიშით 26:14; მოსკოვის „დინამომ“ — ბაქოს „დინამოს“ — 34:10; მოსკოვის „სპარტაკმა“ — ლენინგრადის „ზენიტს“ — 26:18 და ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — ნოვოსიბირსკის „სპარტაკს“ — 56:2.

შეჯიბრების მეორე დღე

3 აგვისტოს ესტონეთის „სპარტაკმა“ მოიპოვა მეორე გამარჯვება, მან მოუგო წითელი არმიის ტაშკენტის სახლის გუნდს ანგარიშით 27:24. სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ წითელი არმიის ლენინგრადის სახლის გუნდს მოუგო ანგარიშით 66:22, თბილისის „დინამომ“ — გროზნოს „სპარტაკს“ — 60:24, ლენინგრადის „ზენიტმა“ — წითელი არმიის ბაქოს სახლის გუნდს — 39:28 და წითელი არმიის კიევის სახლის გუნდმა — სვერდლოვსკის „ტრაქტორს“ — 34:25. მეორე დამარცხება განიცადა ესტონეთის კლუბმა „კალევმა“, რომელსაც მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მოუგო ანგარიშით 40:17.

დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში ქუთაისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრამ. საქართველოს ჩემპიონმა ამ დღეს გვიჩვენა თამაშის მაღალი კლასი და დიდი ფიზიკური გაძლება. თავიდანვე მოპოვებული უპირატესობა ბურთების რაოდენობის მხრივ ქუთაისელებმა შეინარჩუნეს თამაშის ბოლომდე და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 32:29. ამავე დღეს მეორე გამარჯვება მოიპოვა წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა მოსკოვის ახალგაზრდა გუნდ „მშენებელთან“.

ქალთა გუნდებს შორის გათამაშების მეორე დღეს აღსანიშნავი იყო წითელი არმიის თბილისის სახლის, სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და ბაქოს „დინამოს“ გუნდების გამარჯვებები.

ა. გოგოლაშვილი

დეპეშები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები, მარაოსავით გაშლილნი, სწრაფად მიიწევდნენ წინ ბრეტანში და მიაღწიეს ლუდეაკის, მორონის, დერვალისა და შატობრიანის მიდამოებს. რენი ჩვენს ხელშია. დოლი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. ჩვენი ავანგარდები გასცილდნენ ფუჟერს.

მოკავშირეთა სხვა ნაწილები წინ მიიწევენ ლონდივის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გრძელდება ბრძოლები მორტენისათვის. ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა ბარანტონის რაიონს მიაღწიეს. სენ-სევერის კონცხის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს ხელთ არის. ევრესი და ესკე გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან და ჩვენი ავანგარდები ბაკონის და ამეიე-სიურ-ორნის რაიონში იმყოფებიან.

სამხრეთით ჩვენი პოზიციები გაუმჯობესდა ონდფონტენის დაკავების შედეგად. გორის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ენერგიული კონტრიერიშები მარცხით დამთავრდა.

მოკავშირეთა ავიაციამ გუშინ იერიში მიიტანა მტრის ობიექტებზე საფრანგეთში. 4 აგვისტოს ღამით საშუალო და მსუბუქმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტსა და თავმოყრილ ჯარებზე.

ამერიკის ჯარები სენ-ნაზერს მიადგნენ

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან მყოფი ასოშიეტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა, როგორც ფიქრობენ, მიაღწიეს სენ-ნაზერს და ამით დაამთავრეს ბრეტანის ნახევარკუნძულის იზოლაცია. ამერიკის მეწინავე ნაწილებმა, როგორც სჩანს, გაცილებით უფრო წინ წაიწიეს, ვიდრე წინათ გაუწყებოდით.

ამერიკის ჯარებმა ბრესტს მიაღწიეს

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). ბრეტანში მყოფი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა ქალაქ ბრესტს მიაღწიეს.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ფლორენციის სამხრეთით ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. მოკავშირეთა ჯარებმა 3 აგვისტოს ღამით გადალახეს მდინარე ემა, დაიკავეს მტრის წინააღმდეგობის კვანძები გალუცოში მდინარის ნაპირზე და 4 აგვისტოს დილაადრიან ზედ მიადგნენ ფლორენციის გარეუბნებს.

მარჯვენა ფლანგზე ახალზელანდიელთა ნაწილებმა, რომლებმაც ორი დღის წინათ მაღლობი დაიკავეს, აგრეთვე მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ.

უფრო შორს დასავლეთისაკენ ინდოელთა დივიზიის ნაწილებმა წაიწიეს თავიანთი პლაცდარმის ჩრდილოეთით მდინარე პეზას მარჯვენა ნაპირზე და ამჟამად ქალაქ სინიადან ერთ კილომეტრზე იმყოფებიან.

ფლორენციის აღმოსავლეთით ინგლისელთა ერთი დივიზიის ნაწილებმა დაიკავეს ბანიო-ა-რიპოლი (3 მილზე ფლორენციიდან) და იმყოფებიან ერთ კილომეტრზე მდინარე არნოდან ამ ქალაქის ჩრდილოეთით. ინგლისელთა სხვა ნაწილებმა, რომლებიც პონტასიევესკენ მიიწევენ (10 მილზე ფლორენციის აღმოსავლეთით), დაიკავეს პუნქტი რინინო (5 მილზე პონტასიევეს სამხრეთით).

ამერიკის მე-5 არმიის ფრონტზე საომარი მოქმედება განისაზღვრებოდა საარტილერიო სროლით და პატრულების ოპერაციებით, რომლებსაც ცალკეული შეტაკებანი ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან.

მოკავშირეთა ტაქტიკური ავიაცია გუშინ თავს ესხმოდა მტრის კომუნიკაციებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს ჩრდილოეთ იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში და ბრძოლების ზონაში. მოკავშირეთა ავიაციის სხვა რაზმებმა დაბომბეს სამხედრო ობიექტები სამხრეთ ალბანეთში.

მოკავშირეთა ჯარები ფლორენციაში შევიდნენ

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ალჟირის რადიოს ცნობას, რომ ინგლისის მე-8 არმიის სამხრეთ-აფრიკის ნაწილები ქალაქ ფლორენციის ცენტრალურ ნაწილში შევიდნენ.

გერმანიას თავს დაესხა 1.100 ბომბდამშენი

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 5 აგვისტოს მე-8 საავიაციო კორპუსის შემადგენლობის 1.100-ზე მეტმა „მფრინავმა სიმაგრემ“ და „ლიბერეიტორის“ მარკის ბომბდამშენმა თავდასხმა მოახდინა მრავალრიცხოვან ობიექტებზე გერმანიაში, მათ შორის ნავთსაწმენდ ქარხანაზე დოლბერგენში, ნავთსაცავზე ფალერსლებენში, სამხედრო ქარხანაზე მაგდებურგში, აეროდრომებზე ჰანოვერში, ლანგენჰაგენსა და ჰალბერშტადტში, აგრეთვე სხვა ობიექტებზე ბრაუნშვაიგისა და მაგდებურგის რაიონში. ამინდი ხელსაყრელი იყო და დაბომბვა კარგი ხილვადობის პირობებში სწარმოებდა. ბომბდამშენებს თან ახლდნენ „მუსტანგის“, „სანდერბოლტისა“ და „ლაიტნინგის“ მარკის ავიაგამანადგურებელთა დიდი შენაერთები.

ჰიტლერელმა ელჩმა ვატიკანში კავშირი გასწყვიტა ბერლინთან

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო (საკდესი). ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს ამერიკელი კორესპონდენტის ცნობას რომიდან იმის შესახებ, რომ ვატიკანთან აკრედიტებულმა გერმანიის ელჩმა ბარონმა ფონ-ვაიცზეკერმა კავშირი გასწყვიტა გერმანიის მთავრობასთან. პაპთან აუდიენციის შემდეგ ვაიცზეკერმა განაცხადა, რომ მას აღარა სურს იყოს ნაცისტური მთავრობის წარმომადგენელი.

ექიმ ა. ა. ტერიანის ხსოვნას

3 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანსახკომის სპეცსამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უძველესი თანამშრომელი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და საზოგადოებრივი მუშაკი ავეტ ალექსანდრეს-ძე ტერიანი.

ექიმი ა. ა. ტერიანი მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა ავადმყოფთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საქმეს, რითაც დაიმსახურა თბილისის ფართო მასების და მედიცინის მუშაკთა მთელი კოლექტივის პატივისცემა. იგი დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა.

სამედიცინო-სანიტარული საქმის მუშაკებმა ა. ა. ტერიანის სახით დაჰკარგეს შესანიშნავი ამხანაგი, თავისი საქმის ერთგული, პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაკი. ექიმ ა. ა. ტერიანის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში. მისი თავდადებული მუშაობა საუკეთესო მაგალითი იქნება ექიმთა ახალგაზრდა თაობისათვის.

ხელიძე, ფრანგულიანი, ბარკალაია, გურგენაშვილი, ცაგარელი, მაჭავარიანი, კერესელიძე, ალადაგოვი, ნ. ა. ყიფშიძე, ერისთავი, რუსიშვილი, შუშანია, ლამბარაშვილი, ლოლობერიძე, ხუნდაძე, ყორყოლიანი, ზაქარიაძე, პონდოევი, ისააკიანი, ჯაფარიძე, ტერ-ნერსესოვი, ფალიაშვილი, მხეიძე, ტერ-მარტიროსოვი, გეორგ-ბეკიანი, ბასოვა-მიქელაძე, დ. მიქელაძე, ღვამიჩავა, რეკვავა, ხოჯაპარუზოვი, დემურია, ახპისოვი, მაჭარაშვილი, წივწივაძე, ციციშვილი, ბეჟანოვი, ხაცკევიჩი, გურგენიძე, მარღანია, ცინცაძე, ზანდუკელი, გრიგორიანი, შარაშიძე, ამირჯანოვა, ხაზარაძე, საბაშვილი, უმიკოვი, ისრაელიანი, სიხარულიძე, იარალოვა, მაყაშვილი, მაიზელსი, მუჩაიძე, მაისურაძე, ტუშურიანი, აბაშიძე, ოთხმეზური, ანთაძე, მგალობლიშვილი, მირილაშვილი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

განახლდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც ოთხ წელიწადს შეწყვეტილი იყო. გათამაშების პირველივე დღე დიდი მოულოდნელობით დამთავრდა—მოსკოვის „დინამოს“ გუნდმა წააგო ლენინგრადში ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდთან. ამით მოსკოვის „დინამო“ გამოვიდა თასის პრეტენდენტთა რიგებიდან.

თასის გათამაშებაში 24 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის თბილისის „დინამო“. თბილისის „დინამო“ მეოთხედ ფინალამდე არ შეხვდება ოსტატთა გუნდებს. მაგრამ მეოთხედ ფინალიდან დაწყებული, მას ექნება სერიოზული შეხვედრები, მათ შორის მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდთან.

თასის გათამაშება ტარდება მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, ერევანში, სტალინოში, ჩელიაბინსკში, სვერდლოვსკსა და კუიბიშევში.

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე, საქ. სს რესპუბლიკაში არსებულ საკავშირო პროფსაბჭოს ჰოსპიტლების სამმართველოსთან ა. წ. 15 აგვისტოდან იხსნება სტენოგრაფიისა და მემანქანეობის კურსები (ქართული და რუსული სექტორები).

კურსების მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და სასადილოთი. პირობების გაგება შეიძლება კურსების დირექციაში (ჭავჭავაძის ქ. № 1 „სტენოტიპისტი“ ტელ. № 3-58-00).

კურსების დირექცია

დედა მატრონა, მეუღლე აგრაფინა, შვილები დარიკო, ავთანდილ, ოთარ, გურამ, ომარ, და საშა იუწყებიან **ნესტორ სიმონის-ძე აფრიდონიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7/VIII, 8 ს. გამოსვენება 8/VIII, 6 ს. ორჯონიკიძის, 94.

დები ვერა, თამარ, ლუბა, ძმები პავლე, ვანო, ვახტანგ ცოლ-შვილით, სიძე გიგუცა იუწყებიან **ეუგენია სიმონის-ასულ ძინძიბაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VIII, 3 ს. ვაჩნაძის, 1.

ი. კალატოზიშვილი ოჯახით იუწყება **ვლადიმერ გაბრიელის-ძე ახობაძის** გარდაცვალებას.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექცია და საფაბრიკო კომიტეტი იუწყებიან ვლადიმერ კორძახიას მეუღლის ერმონია კორძახიას გარდაცვალებას.

ცოლი ფაშუტი შვილებით, ლევან, მართა, ფედოსია ჭანტურაიები, ლილი, კოწია კაპანელი შვილებით იუწყებიან **ბარდღა ჭანტურიას** გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800
უე 07872